

Art Workshop Classes in Georgia

Georgian transcript:

ქ: ჩვენ იურასთან, ანუ ბატონ იური სკრინიკოვთან, დავდიოდით 2007 წლის ზაფხულში. მაგრამ მერეც დავდიოდით კაი ხანს, ოღონდ უფრო იშვიათად. და... ერთი შემთხვევა იყო ვთქვა რითი განსხვავდება იქაური არტისტი და მასწავლებელი აქაურისგან, იმიტომ რომ იქ ჩვენ რო მივდიოდით იურასთან, დღეში ვამლევედით ათ ლარს და მთელი დღე იქ ვიყავით და თითქოს ჩვენც მისი სახელოსნოს ნაწილი ვიყავით. და იურაზე ვიცი ის რომ ... ამმ.. ეს ათი ლარი მან რაღაც ძალიან დიდი ხნის წინ დააწესა, მაგრამ მერე აღარ გადათქვა, იმიტომ რომ მის გარშემო იყო ძალიან ბევრი გაჭირვებული ადამიანი ვისაც უნდოდა ხატვის სწავლა, მაგრამ ვერ გადაიხდიდა მეტს, ამიტომ იურამ თქვა რომ ამ ათ ლარს არ გაზრდიდა და ამიტომ მის სახელოსნოში ყოველთვის იყო რაღაც სიცივე, ... ამ... არასდროს არ ქონდა საკმარისი ინვენტარი, სულ ბავშვებს მოქონდათ თავისი რაღაცა, და ასე კოლექტიურად რაღაცნაირად არსებობდნენ. მაგრამ აქ ასეთი რაღაცა არ მოხდებოდა, იმიტომ რომ ჯერ ეს ერთი ასე იაფად არავინ არ გასწავლის, და მეორეც ერთი ვერ... ვერც გასწავლის, იმიტომ რომ ბაზარი არი სულ სხვა.

English translation:

K: We used to go to Yura's¹, or Yurii Skrinnikov's², during the summer of 2007. We continued after that as well, but not as often. And... One thing I'd like to talk about is how an artist and a teacher from Georgia can be different from the one here³. Because, when we went to Yura's, we would give him 10 lari⁴ a day and spend the whole day there, and it was as if we were a part of his workshop as well. And about Yura, I know that... um... he set this 10 Lari [fee] a very long time ago, but did not change it later, because there were a lot of poor people around him who wanted to learn painting, but who would not have been able to pay more. So he said that he would not raise this 10 Lari [fee], and therefore it was always cold in his workshop... um... He never had enough supplies, kids always brought their own things, and in this way, collectively, they somehow managed to survive. But here a thing like this could not happen, because first of all no one would teach you so cheaply; and second, no one can, because the market here is completely different.

1 Yura is an informal variation of a Russian name Yurii.

2 Yurii Skrinnikov is a painter who owns a private workshop at his house in Tbilisi.

3 Meaning, the United States.

4 Lari is the official currency of Georgia. 1 GEL= 0.61 US\$ (data as of May 2013).

About CultureTalk: CultureTalk is produced by the Five College Center for the Study of World Languages and housed on the LangMedia Website. The project provides students of language and culture with samples of people talking about their lives in the languages they use every day. The participants in CultureTalk interviews and discussions are of many different ages and walks of life. They are free to express themselves as they wish. The ideas and opinions presented here are those of the participants. Inclusion in CultureTalk does not represent endorsement of these ideas or opinions by the Five College Center for the Study of World Languages, Five Colleges, Incorporated, or any of its member institutions: Amherst College, Hampshire College, Mount Holyoke College, Smith College and the University of Massachusetts at Amherst.

© 2013 Five College Center for the Study of World Languages and Five Colleges, Incorporated